შპს მელტექსი და მოვსენიანი სომხეთის წინააღმდეგ

Meltex Ltd and Movsesyan v. Armenia

საჩივარი N32283/04

17.06.2008.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან გადაწყვეტილების მიღების საფუძვლების წარმოდგენის ვალდებულება წამოიჭრა საქმეზე ***შპს მელტექსი და მოვსენიანი სომხეთის წინააღმდეგ.*** საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მომჩივანი კომპანია დავობდა, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოების უარი, მისთვის სამაუწყებლო ლიცენზიის მინიჭებაზე, წარმოადგენდა კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული სიტყვის თავისუფლების დარღვევას. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა უფლებაში ჩარევას, თუმცა აღნიშნა, რომ კონვენცია დასაშვებად მიიჩნევდა ჩარევებს, რომლებიც ,,კანონით იყო გათვალისწინებული''. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, აღნიშნული ფრაზა მოითხოვდა უფრო მეტს, ვიდრე ეროვნულ კანონმდებლობასთან ფორმალური შესაბამისობაა. ის აგრეთვე მოიცავდა არსებით ელემენტებსაც, კერძოდ, ეროვნულ ხელისუფლებას ლიცენზიის მოპოვების შესახებ განაცხადების მიღების კრიტერიუმი იმ ფორმით უნდა გამოეყენებინათ, რომ თავიდან აერიდებინათ რაიმე სახის თვითნებობა. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ეს გულისხმობდა უარის ,,სათანადოდ დასაბუთებას''. გადაწყვეტილების 81-ე პარაგრაფში ვკითხულობთ:

> ,,რაც შეეხება სალიცენზიო პროცედურებს, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ სალიცენზიო კრიტერიუმების გამოყენების ფორმა უნდა ადგენდეს საკმარის გარანტიებს თვითნებობის წინააღმდეგ, **რაც მოიცავს ლიცენზიის გამცემი ორგანოს მხრიდან საკუთარი გადაწყვეტილების სათანადოდ დასაბუთებას,** რომლითაც უარს ამბობს სამაუწყებლო ლიცენზიის გაცემაზე.''

ამ დასკვნის გაკეთებისას, სტრასბურგის სასამართლომ მიუთითა ევროპის საბჭოს მიერ 2000 წელს მიღებულ რეკომენდაციაზე, რომელიც ადგენს სახელმძღვანელო წინადადებებს სამაუწყებლო ლიცენზიის მოპოვების შესახებ განცხადებების დამტკიცებასთან დაკავშირებით. აღნიშნული სახელმძღვანელო წინადადებების მიხედვით სალიცენზიო პროცედურები ,,ღია, გამჭვირვალე და

მიუკერძოებელი'' უნდა იყოს, ხოლო გადაწყვეტილებები ,,სათანადოდ დასაბუთებული'' და საჯაროდ ხელმისაწვდომი.[1]

სტრასბურგის სასამართლოს დასაბუთებაში არსებითი ადგილი უჭირავს ფუნდამენტურ უფლებასთან კავშირს. სასამართლომ მიიჩნია, როდესაც საფრთხის ქვეშაა სიტყვის თავისუფლება, კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ვერ მიეცემათ უფლება, ისარგებლონ შეუზღუდავი აღმასრულებელი ხელისუფლებით.[2] ამ გაგებით ეს გადაწყვეტილება ძალიან ინდივიდუალურია, ვინაიდან მიზნად ისახავს ინდივიდების დაცვას გადაჭარბებული სახელმწიფო ძალაუფლებისგან. აქვე ,,საზოგადოების ნდობის'' რაციონალის არსებობაზე არის მითითება, რომლის მეშვეობითაც სტრასბურგის სასამართლო ცდილობს გააუმჯობესოს ეროვნულ დონეზე ადმინისტრაციული გადაწყვეტილების ხარისხი და განამტკიცოს საზოგადოების ნდობა სამთავრობო ინსტიტუტების მიმართ.

ამასთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ,,მომჩივან კომპანიასა *და საზოგადოებას* ადმინისტრაციულმა ორგანომ არ მიეწოდა ინფორმაცია თუ რა საფუძვლებზე დაყრდნობით გამოიყენა დისკრეციული უფლებამოსილება და არ გასცა სამაუწყებლო ლიცენზია.[3]

---

[1] Council of Europe, Recommendation Rec(2000)23 on the Independence and Functions of Regulatory Authorities for the Broadcasting Sector, 20 December 2000.

[2] მელტექსის საქმე, 81-ე პარაგრაფი.

[3] იქვე, 82-ე პარაგრაფი.